**სახალხო განათლება+**

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 8 (4567) ● 9 მაისი ● 2018 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

## 9 მაისი გამარჯვების დღეა. გილოცავთ!

## თბილისის 72-ე საჯარო სკოლა – 80

# განათლების დიდებული ტაძარი – თაობათა სიყვარულით გამთბარი

**ეს** დიდებული ტაძარი ცოდნა-განათლებისა უკვე **80 წლისაა**.

მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, სკოლის ხელმძღვანელობამ ღირსეულად აღნიშნეს საყვარელი სკოლის იუბილე. მონდომება და ენთუზიაზმი



*მანანა კიკაჩეიშვილი*

არ დააკლეს ღონისძიებას გამოცდილმა, შემოქმედმა დირექტორმა **მანანა კიკაჩეიშვილმა,** ერუდირებულმა მოადგილეებმა **ნანა აბრამიშვილმა** და **კარინა მანკულოვამ,** პედაგოგებმა, ადმინისტრაციამ. **მასობრივი და ეფექტიანი იყო მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობები.** წინასწარ ვიტყვით: დღეს ძლიერ პედაგოგიურ კოლექტივს მტკიცედ აქვს გეზი აღებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი ინიციატივა-პროექტების განხორციელებისაკენ და სწავლა-აღზრდის ხარისხის ამაღლების საქმეში წარმატებებზე არიან ორიენტირებულნი.

ათიოდე წლის წინათ განათლების სამინისტროში იშვა იდეა, რომ საჯარო სკოლებს შეექმნათ საკუთარი ისტორია.



ზოგიერთი სკოლა გამოეხმაურა ამ ინიციატივას. მაგალითად, 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისის მე-**11 საჯარო სკოლის** დირექტორმა **რომან მოსეშვილმა,** განათლების სამინისტროს წამყვანმა სპეციალისტმა **ჰამლეტ ჩხენკელმა,** ჟურნალისტმა **აკაკი ჯიქიამ** შეადგინეს და გამოსცეს ბრწყინვალე წიგნი:

**„დედაქალაქის მეთერთმეტე – გუშინ, დღეს... რა იქნება ხვალ?“**

**ჩვენი იუბილარი სკოლაც იმსახურებს, რომ ასეთი და კიდევ უკეთესი წიგნი ჰქონდეს.**

***

### *დაფუძნების სათავეებთან*

**იუბილარი** სკოლა 1937-1938 სასწავლო წელს გაიხსნა. თავდაპირველად აქ ფუნქ-



ციონირებდა მხოლოდ ვაჟთა სასწავლებელი, 1954 წელს კი გაერთიანდა ქალთა 49-ე და ვაჟთა 31-ე სკოლები და მიენიჭა **72-ე სკოლის** სახელი.

ბევრი ღვაწლმოსილი პედაგოგით იყო განებივრებული ჩვენი სკოლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ისტორიის მასწავლებელი, **ნინო ქადეიშვილი.**

სკოლის წარსულის შესახებ ფოტომატეანის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის **ლუდმილა ურეკაძეს** – ინგლისური ენის ღვაწლმოსილ პედაგოგს, რომელიც 45 წელია აქ მუშაობს.

1999 წელს აღინიშნა რუსი მწერლის, ალექსანდრე პუშკინის დაბადების 200 წლის იუბილე. ამ თარიღთან დაკავშირებით სკოლას მიენიჭა ა.პუშკინის სახელი და **მე-9 გიმნაზიად** გადაკეთდა.

2005 წ. ჩვენს „ცოდნის ტაძარს“ კვლავ დაუბრუნდა **72-ე სკოლის** სახელი.

სკოლის პირველი დირექტორი გახლდათ **ჩხიკვაძე აკაკი,** მისი მემკვიდრეები იყვნენ: **ბოკერია ვლადიმერ, ლითანიშვილი ვასილ, ასლანიდი გალინა, ნატროშვილი ნათელა,** და დღეს არის გამობრძმედილი, ნიჭიერი ორგანიზატორი **კიკაჩეიშვილი მანანა**.

### *„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“*

**2013 წლიდან** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპეციალურ პროგრამას ახორციელებს, რომლის თანახმად საქართველოს საჯარო სკოლებში, საჭიროების შემთხვევაში, **ინტეგრირებული კლასები იხსნება**, სადაც აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეები სწავლობენ. ერთ-ერთი ასეთი კლასი ჩვენს სკოლაშიც ფუნქციონირებს.

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღესთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 2 აპრილს, ჩვენს სკოლას განათლების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** ესტუმრა. ამ დღეს სკოლაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაიმართა.

2016 წელს აუტისტურ კლასს ჰოლანდიელი ფსიქოლოგები და სპეციალი-



სტები ეწვივნენ.

იუბილარი სკოლა მარტო წარსულით არ შემოიფარგლება. აქ გრძელდება აქტიური შემეცნებითი და შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებები, მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა კონფერენციები, რაც უკვე ტრადიციად იქცა.

სკოლამ გაიმარჯვა მნიშვნელოვან პროექტებში:

**„კრწანისელები არაგველების ნაკვალევზე“.**

**„აი ჯანსაღი საქართველო“, „თბილისი ჩემი სახლია“** და **„ეკოლოგია და გარემოს დაცვა“.**

საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა ტრადიციად იქცა. აღსანიშნავია ,ქალბატონ **ნატო ხაჭაპურიძის** თაოსნობით ჩატარებული საღამო **„სიკეთე გადამდებია“,** შეგროვილი თანხა ჩაირიცხა **დიტო ცინცაძის** ფონდში.

პედაგოგ **მანანა დვალიშვლის** თაოსნობით შესრულებულია პროექტი **„ამას ჩვენი დალოცვილი შემოდგომა ჰქვია“.**

აღსანიშნავია, **ფატი მუსელიანის** ინიციატივით ორგანიზებული საქველმოქმედო ღონისძიება მოხუცთა თავშესაფარში **„სიკეთის ლამპარი“.**

ჩვენი სკოლა ხეა, რომლის ფესვებსაც კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგები წარმოადგენენ: **ლუდმილა ურეკაძე, ემა აკოპიანი, ფირანგიზ გაჯიევი, იზოლდა ჯარიშნელოვი, ელიზა ლავრელაშვილი,** წამყვანი მასწავლებელი **ანა ფურცელაძე**. 30 წელზე მეტია ეს პედაგოგები ღირსეულ თაობებს ზრდიან! წელთა სიმრავლე, სიმხნევე და ბედნიერება არ მოკლებოდეთ მათ!

სასიამოვნო ტრადიციები დამკვიდრდა: **„ღვაწლმოსილ პედაგოგთა გაცილება და საპატიო დაფის გახსნა“;** კურსდამთავრებულთა საზეიმო ღონისძიებით სამომავლო გზის დალოცვა და ვარსკვლავის გახსნა; სკოლაში მოღვაწე **დირექტორთა დაფის გახსნა** (1937 წლიდან დღემდე).

მოსწავლე-მასწავლებელთა მიერ მოპოვებული სიგელებისა და დიპლომების სიუხვე სკოლის წარმატებებზე მეტყველებს. პროგრამაში **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** შარშან წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ: **მარიამ კესარელი, ანა კოხრეიძე, გიგა ბაშარული, თამარ გაბაშვილი, ანი კანდელაკი, ანა მუმლაძე, სერგი ჯავახია, ამელია ქეიანი.**



სასწავლო წლის დასასრულს სკოლას ეყოლება 4 ოქროს მედალოსანი:

XII^ა კლასში: – **რამილა ვალიევა;** XII^ბ კლასში: – **ნინო**

გაგრძელება მე–2 გვ.

*მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!*

# თბილისის 72-ე საჯარო სკოლა – 80

დასაწყისი 1-ელ გვ.

**ნატროშვილი, ანუკი ქურდაძე, თამარ გაბაშვილი.**

მოსწავლეების **ნიკა არუთინოვისა** და **ანი კაზარიანის** ინიციატივით განხორციელდა



პროექტი – ფოტოკონკურსი **„ჩემი თვალით დანახული სამყარო“.** გამარჯვებულნი არიან: **ლიზი ხელაძე** და **ანი საბაძე,** რომელთაც გადაეცათ დიპლომები და საჩუქრები – ცნობილი ფოტოხელოვანის **სერგო ედიშერაშვილის** გამოცემული უნიკალური ფოტოალბომები. **ქრისტინე ჩხეიძემ, ბარბარე ჩხეიძემ, ალექსი კაზარიანმა, ელვინ ისაევმა და ნიკა არუთინოვმა** დაიმსახურეს სიგელები. სკოლა ამაყობს გამორჩეული ხელოვანი და სპორტსმენი მოსწავლეებით:

ხატვაში: **მარი გოგინავა, ლიზი ჯოლოხავა, სესილი დოხნაძე, ნინო ჯღარკავა, ანი მარტაშვილი, ერიკ კარაპეტიანი, ნინო მწითური, ლიზი მაისაშვილი, ლელა ცხადაია, ლუკა აროშიძე.**

მუსიკაში: **მარიამ ოქროჭელიძე, ლიზი კვიციანი, მარია**




**ბეჟვაია, ქრისტინე ჩხეიძე, ლიდია კოჩეტოვი.**

ცეკვაში: **თამარ მურვანიძე, ანანო ბრეგაძე, მონიკა იობაშვილი, თამაზ დაუშვილი, ორხან იბრაგიმოვი, ქრისტინე შამუგია, რამილა ვალიევა, არტემ არუთინიანი, ლიზი ოსეფაიშვილი, ვერონიკა კარგინა, მარიამ გიგოლაშვილი.**

სპორტსმენები: **ნიზამ ალმაზოვი** და **ირაკლი ესვანჯია** – ცურვა, **რაულ ისაევი** – კინგბოქსინგი, **მალხაზ მელაძე** – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. **ჯაბა ჯმუხაძე** და **ლუკა წენგუაშვილი** – კალათბურთი.

სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის დიპლომი და სპეციალური პრიზი გადაეცა **მარიამ ოქროჭელიძეს,**

საუკეთესო მხატვრული კითხვისათვის – **ნიკოლოზ ნაჭყებიას**.

სიგელები – სიმღერაში: **ბარბარე ჩხეიძეს, მარიამ მოსემღვდლიშვილს, დავით პაიკიძეს, გიორგი სოლომნიშვილს, მარიამ ჩანქსელიანს, ნინო გამცემლიძეს.**



ცეკვაში: **ალექსანდრე დულგარიანს, ანა ზარქუას, ჯესიკა აკოფოვს, მარიამ გიგოლაშვილს, არტემ არუთინიანს.**

მხატვრულ კითხვაში – **ზურაბ ჭოხონელიძეს.**

ინტელექტუალურ თამაშში **„ტვინების ბრძოლა“** გამარჯვებული არიან **“სამთვალა ყორანის“** წევრები: **ანანო ნაკაიძე, ნიკა ქინქლაძე, მარიამ ხურციძე, თორნიკე ქართველიშვილი, არტემ არუთინიანი.**

ჯგუფი **„მოვიფიქრებთ და მერე გეტყვით“** წევრები: **მარიამ ჩანქსელიანი, ლიზი ხელაძე, გიორგი თუთბერიძე, დუდუ მოდებაძე** და **გაბრიელ ფირცხალავა** საქართველოს მასშტაბით იასპარეზებენ.

განათლების სამინისტროს პროექტებში ინტენსიური იყო მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობები.

საქართველოს ეროვნული ინტელექტ ჩემპიონატ **„ეტალონის“** მეორე ტურში გადავიდა სკოლის 7 მოსწავლე: **ონისე თირქია, გივი გოგია, ნინი გოგბერაშვილი, ანა ჯამასპიშვილი, ანა კანდელაკი, ანი ფახურიძე, მარიამ მერაბიშვილი.**

**„ევერესტის“** მათემატიკის ფესტივალში თავი გამოიჩინეს **ბექა რუხაიამ** (მე-8) და მე-10 კლასელმა **ვახტანგ გამცემლიძემ.**

სკოლაში არსებული წრეები და კლუბები საინტერესოდ მუშაობენ და ხელს უწყობენ სწავლების ხარისხის ამაღლებას.

დაუვიწყარია სკოლის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი **„ბერნარდა ალბას სახლი“,** რითაც მიულოცეს ჩვენმა კოლეგებმა სკოლას იუბილე.

დიდი წარმატებით და ენთუზიაზმით ჩატარდა იუბილესადმი მიძღვნილი სასწავლო კვირეული, რომელშიც **ძალიან მაღალი იყო მოსწავლეთა ჩართულობა.**

კვირეულში ყველა სასწავლო-მეთოდურმა კათედრამ აქტიური მონაწილეობა მიიღო და დასრულდა 21 აპრილს დასკვნითი ღონისძიებებით: **ნიჭიერ მოსწავლეთა კონცერტით, პედაგოგთა დაჯილდოებით.**

სხვადასხვა ღონისძიებებს ესწრებოდნენ კრწანისის რაიონის გამგებელი **ლევან ჯაფარიძე** და ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრი – **ქეთევან მამულაშვილი.** განათლების სამინისტროსა და რესურსცენტრის წარმომადგენლები, სხვადასხვა სკოლის დირექტორები და პედაგოგები.

საიუბილეო ღონისძიებები გაშუქდა საპატრიარქოს ტელევიზია **„ერთსულოვნებისა“** და **საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის** მიერ.

## ვინ ქმნის დღევანდელი სკოლის სახეს?

**2014 წლიდან** დღემდე სკოლას სათავეში უდგას **მანანა კიკაჩეიშვილი**, რომელსაც 72-ე საჯარო სკოლაში დირექტორად არჩევამდე უკვე ჰქონდა მრავალწლიანი პედაგოგიური მუშაობისა და **18-წლიანი დირექტორობის გამოცდილება**. მისი ხელმძღვანელობით საგრძნობლად მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, ამაღლდა დისციპლინა და სწავლების ხარისხი.

წარმატებებში დირექტორთან ერთად დაუღალავად შრომობენ: დირექციის



წევრები - მოადგილეები: **ნანა აბრამიშვილი** და **კარინე მანკულოვა;** ბუღალტერი – **ბელა ბეგლარაშვილი.** ადმინისტრაციის წევრები: საინფორმაციო მენეჯერი **თინათინ ქუთათელაძე,** საქმისმწარმოებელი – **ელმირა ლომჯარია,** მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი – **ანა მჭედლიშვილი**, ბიბლიოთეკარები: **ფირანგიზ გაჯიევი** და **ელისო გუგულაშვილი.** ექიმები – **ხათუნა ბედოშვილი** და **თინათინ ჯორბენაძე,**



სპეციალური მასწავლებლები: **მარინე იაშაღაშვილი** და **მარინა ბლიაძე.** ინტეგრირებული კლასის თანამშრომლები: **ირმა როსტომაშვილი, სოფიკო ცირგაია, თეონა არახამია, გიორგი ქაროსანიძე** და **ნათია შერბაკოვა.**

სხვადასხვა დროს სკოლის მანდატურები: **სოფიო ჭიტაძე, ოლიკო ლორთქიფანიძე, შოთა ჩუთლაშვილი, ნანა წიბახაშვილი, მევლუდი ნუცუბიძე, ნანა სარიშვილი.**

ტექნიკური პერსონალი: **მანანა გასპარიანი, ავთანდილ სხირტლაძე, ვაჟა ბეგაშვილი. ვალერი ლომთათიძე. გოდერძი მაჭარაშვილი;**

**ნანა დიდებაშვილი, იამზე დალაქიშვილი, მანანა არაბიანი.**

- სამეურვეო საბჭოს. თავმჯდომარე – **მაიკო ფარულავა.**

- დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე – **ფატმან მუსელიანი.**



- მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე – **ანა კოხრეიძე.**

მაღალ დონეზეა **მშობელთა ჩართულობა** სასკოლო ცხოვრებაში.

საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობა პირდაპირპროპორციულია სწავლა-აღზრდის ხარისხის ამაღლებისა. შემართებით მუშაობენ:

**ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა** – ხელმძღვანელი **ნათია ჩაჩანიძე;**

რუსული ენისა – **ნელი კარსელი;**

ტექნიკურ მეცნიერებათა – **ლელა ხუნაშვილი;**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა – **თამარ ვაშაძე;**

საზოგადოებრივი მეცნიერებებისა – **მაია ბეგლარაშვილი;**

უცხოური ენებისა – **ნინო ელიზბარაშვილი;**

დაწყებითის (ქართული სექტორი) – **ლელი ჯანხოთელი;**

დაწყებითის (რუსული სექტორი) – **თამარ მედვედევა.**

**სამოდელო გაკვეთილები, პედაგოგთა დაოსტატების** ღონისძიებები, **მონაწილეობა მეთოდურ კონფერენციებში.** აი, არასრული ჩამონათვალი კათედრათა საქმიანობისა. პედკითხვებში აღსანიშნავია მასწავლებელ **ნატო ხაჭაპურიძის** წარმატებული მონაწილეობა. მასწავლებელთა დახელოვნების საქმეში აქტიურად ეხმარებიან სკოლას ფასილიტატორი პედაგოგები: **ირმა კაკუშაძე, ქეთევან ქათამაძე, ირმა სამხარაძე, ნატო ქუშაშვილი** და **ლელი ჯანხოთელი.**

ასე რომ, სკოლის საკადრო პოტენციალი ერთობ ძლიერია, რაც ახალი გამარჯვებების საწინდარი იქნება უთუოდ.

უბნის მოსახლეობა, საზოგადოება, განათლების სისტემის მუშაკები, რაიონის ხელმძღვანელობა **მადლიერებას** გამოხატავენ სკოლის ყველა მუშაკის, მოსწავლეების მიმართ იუბილის ასე ღირსეულად ჩატარების გამო.

თინათინ ქუთათელაძე,
*სკოლის საინფორმაციო მენეჯერი,*

ბორის მიშველაძე,
*პედაგოგიკის დოქტორი*

P.S. რედაქტორის მინაწერი: გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის სარედაქციო კოლეგია ყველა მოსწავლეს და პედაგოგს, სკოლის ყველა მუშაკს ულოცავს მშობლიური სკოლის **80 წლის იუბილეს. წინსვლას და ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, კოლეგებო!**

„სიყვარულის სავანე“ ბავშვების სამყაროა

# მეწინავენი – „ფრონტის“ ამ ხაზზე



115-ე ბაგა-ბაღის პედაგოგთა კოლექტივი

**ქართული** ხალხური ზღაპრების, მულტფილმების გმირებითა და სხვა „სამშვენიებით“ ზღაპრულად მორთულ-გაფორმებულ – რასაც, ესთეტიკურთან ერთად, აშკარა დიდაქტიკური დატვირთვაც აქვს – მზით სავსე განკრიალებულ ფართო ფოიეში, დაფიდან, სადაც მშობელთათვის ყურადსაღები განცხადებებია გამოკრული, ინვალიდის ეტლიდან პატარა გოგონა შემოგღიმებთ – **ლიზი ბაზიერი**. მას ქვედა კიდურების დამბლა აქვს. იქვე მითითებულია ბანკების ანგარიშები.

წვრილმანია, ნიუანსია? ვისთვის – როგორ. ჩემთვის კი ეს ის ანია, საიდანაც იწყება შემწყნარებლობა და თანალმობა.

ცნობისმოყვარე ონავრების გაფაციცებულ მზერას ძნელად გამოაპარებ რამეს. აუცილებლად ჰკითხავენ დედიკოებს: რატომ, რისთვისო, გაიგებენ, როგორ უჭირს მათ თანატოლს, როგორ ეხმარებიან დედიკოები შეძლებისდაკვალობაზე ლიზის ფეხზე დადგომაში.

მეგობრობაზე, ერთგულებასა და სიყვარულზე მოსმენილი ძალიან კარგია, მაგრამ ასე ხელშესახები, თვალით ნანახი და ცოცხლად აღქმულ-განცდილი უფრო მეტია.

აგერ, დედიკოებმა „ყულაბაში“ ჩაყარეს ფული. ეს ხომ დაინახა, ცოცხლად განიცადა პატარამ. ის აუცილებლად წააშველებს ხელს წაბორძიკებულ თანაჯგუფელს, წაქცეულს წამოაყენებს, ძერწვასა თუ ხატვაში დაეხმარება, ნუგბარს გაუყოფს...

ისედაც ხომ უპირველესად ამას ასწავლიან, ასე ზრდიან პატარებს თბილისი 115-ე ბაგა-ბაღში, ხალხმა „სიყვარულის სავანე“ რომ უწოდა და მოყვასის ტკივილის გათავისების ეს ერთი, მაგრამ ძალზე ფასეული მაგალითი ცხოვლად აჩნდება პატარების სულსა და გულს.

მაცხოვარი გვმოძღვრავს, ნუ შეუშლით ხელს ბავშვებს, დაე, მოვიდნენ ჩემთან, მათნაირებისაა ცათა სასუფეველი, ხოლო, ვაი, იმას, ვინც დააბრკოლებს მათ. ურჩევნია წისქვილის დოლაბი ჩამოიკიდოს და ზღვაში დაინთქესო.

და ზრდიან პატარებს ყველაზე შემწყნარებელი რელიგიითაც მათი ასაკობრივი, გონებრივ-ფსიქოლოგიური შესაძლებლობის გათვალისწინებით, აზიარებენ ქრისტეს მადლს, უფლის ყოველი ქმნადობის სიყვარულს უნერგავენ. მხოლოდ ბაღნარად ქცეული ეზო-გარემო რად ღირს!

ჯერ კიდევ 1993 წელს გაიხსნა ბაგა-ბაღში სამლოცველო. იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა და თავისი მფარველის – ილია თეზბიტელის ხატიც უძღვნა. თითქოს ყურში ჩამესმის ყმაწვილების წკრიალა შეუწყობელი ხმები: **„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“**

აი, ასე მრავალმხრივად და მრავალფეროვნად ზრდიან 115-ე ბაგა-ბაღში მომავალ კეთილ ქრისტიანებს, სამშობლოსა და მოყვასის მოყვარულ პიროვნებებს.

ეგებ, ცოტას ვაჭარბებ?

თუ ასეა, მშობლების მრავალ სამადლობელს რა ვუყოთ?



დირექტორი – პატარებთან

ასეთი სენიც გვჭირს მშობლებს: შვილების აღზრდის ხარვეზებში საკუთარ ბრალს ძნელად ვატყობთ და ვაღიარებთ. ხშირად სხვას, თუნდაც ბაგა-ბაღს შევახოცავთ ხოლმე ხელს. მშობელს რომ სამადლობელი ათქმევინო, მართლაც გადამკვდარი უნდა იყო ბავშვებზე. სამადლობელსაც გააჩნია, აგერ, ვკითხულობ მათ და ყოველი ბარათი გულის ამოძახილია. რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ, რადგან სამადლობელთა სრულად მოხმობას მთელი გაზეთიც ვერ აუვა:

**„ყოველი დილა საოცრად თბილი და ტკბილი მაიკო და ნატო მასწავლებლებით იწყება... მარიამს ისე უხარია ბაღში წასვლა, ჩემზე ბედნიერი არავინ მგონია. ჩემი შვილი საიმედო ხელშია. არ სცივა, არ შია, ჰიგიენის ყველა ნორმა დაცულია.“**

*ნინო სიბაშვილი*

**„ბაღს მაღალკვალიფიციური დირექცია და პედკოლექტივი ჰყავს. ბავშვი ყოველთვის სუფთა და მოვლილი ბრუნდება შინ. გვანცა განვითარდა და დაეხვეწა მრავალი უნარ-ჩვევა. სახლში**



სანჰიგიენის კოორდინატორი – მზარეულებთან

**მრავალ ზღაპარს, მოთხრობასა თუ ისტორიულ ამბავს გვიყვება. განუვითარდა მსჯელობის უნარი, გამართულად შეუძლია აზრის ჩამოყალიბება; გამოუსწორდა მეტყველება. დიდი მადლობა თქვენ!“**

*ქეთი ამანათაშვილი*

**„ჩემს შვილს დაჩი ხითარიშვილს უჭირდა ჯგუფურ გარემოში ყოფნა. ემოციებს სათანადოდ ვერ გამოხატავდა, გაუმართავად მეტყველებდა.**

**ამჟამად ბავშვმა, თქვენი უდიდესი ძალისხმევით, ყველა პრობლემა დასძლია.“**

*ნინო გოზალიშვილი*

**„უპირველესად, დიდი მადლობა ქალბატონ მერი ჭარელიშვილს, იმ გარემოსთვის, რაც მან ყოველ აღსაზრდელს შეუქმნა. ნიკას ჰყავს მეგობრები, აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის აქტივობებში, განუვითარდა დამოუკიდებლად მსჯელობის უნარი. უხარია, რომ მონაწილეობს საზეიმო ღონისძიებებში, რაც მშობლებისთვისაც დიდი საჩუქარია. აღვნიშნავ ჯანსაღ კვებასა და ძალზე ჰიგიენურ გარემოს“.**

*თამუნა ბახტაძე*

**„ბედნიერი ვარ, რადგან ჩემი შვილი დიდი სითბოთი და სიყვარულით სავსე გარემოშია. მისი ყოველი დღე სიხარულით, ღიმილითა და მასზე ზრუნვითაა აღსავსე. ღმერთმა მოგცეთ**



ტექპერსონალი

**ძალა, რათა რაც შეიძლება მეტ პატარას გაულამაზოთ ცხოვრება.“**

*თამარ კაპანაძე*

**„აუცილებლად აღსანიშნავია მთელი კოლექტივის ერთსულოვნად და გუნდურად მუშაობის უნარი. ინდივიდუალურადაც უდგებით ყოველი ბავშვის ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს.**

**სხვადასხვა გასართობით, თამაშ-თამაშ უვითარებთ დამოუკიდებლად აზროვნების უნარს, უკითხავთ შემეცნებით ნაწარმოებებს და გამოათქმევინებთ აზრს წაკითხულის შესახებ.**

*ლიკა კვეზერელი*



ჯგუფი „მეგობრობა“

**„მშობლისთვის უმნიშვნელოვანესია უსაფრთხო გარემო. მშვიდად ვტოვებ ბაგა-ბაღში. ჩემი შვილი ტოლებთან თავს იწონებს, საუკეთესო მასწავლებლები მყავსო“.**

*სოფო ქიტოშვილი*

**„ანა მათიაშვილის ბებიამ მოვითხოვე ეს წიგნი, რათა დიდი მადლიერება გამოვხატო ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივის მიმართ.**

**ეზოში შესვლისთანავე თვალნათელია პატარების დიდი სითბო და სიყვარული. მოწესრიგებულია ყოველი გასართობი. ანა კი არ მოდის, მოფრინავს ბაღისკენ, რათა ჩაეხუტოს მეგობრებსა და მასწავლებლებს. ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ ბავშვებს განუვითარონ დამოუკიდებლად აზროვნება, დისციპლინა, სიყვარული და ერთგულება. როცა ბავშვს ასეთ კეთილ და გულისხმიერ ადამიანებს ანდობ, შინ თავს მშვიდად გრძნობ. დიდი მადლობა, ჩემო კეთილო, თბილო და ლამაზო ადამიანებო!“**

*ლია მათიაშვილი*

ამ ორ ამონარიდსაც ჩავუკვირდეთ: ყოფილ აღსაზრდელებს მიჰყავთ შვილები იმ ბაგა-ბაღში, სადაც **თავად ეზიარნენ დიდ სიყვარულს**, ისწავლეს ურთიერთობა თანატოლებთან, უკვე დანამდვილებით იციან, სად, ვისთან მიჰყავთ, ვის ანდობენ შვილებს.

**„115-ე ბაგა-ბაღის ყოფილი აღსაზრდელი ვარ. ამიტომ თამამად მივიყვანე აქ ჩემი სამი შვილი: ეკუნა, ანი და გივიკო გეთიები. ბაგა-ბაღი სულ უფრო და უფრო უკეთესი ხდება. ვიცი, ვისაც მივანდე ჩემი შვილები.“**

*ეთერ წურწუმია*

**„ამ ბაგა-ბაღის კედლებში მე, ჯერ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელმა, შემდეგ კი სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლემ რვა წელიწადი გავატარე (ცნობისათვის: შავ-ბნელ 90-იან წლებში 115-ე ბაგა-ბაღმა 182-ე და 192-ე სკოლების ოთხი პირველი კლასი შეიფარა).**

**უაღრესად დადებითი ემოციები გამომყვა ბაღის კოლექტივის მიმართ. მით უფრო, რომ მაშინაც და ახლაც დირექტორი ქალბატონი მერი ჭარელიშ-**

გაგრძელება მე-4 გვ.

# მეწინავენი – „ფრონტის“ ამ ხაზზე

დასაწყისი მე-3 გვ.

ვილი გახლავთ. მისი სითბო და მზრუნველი ხელი ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. ყოველი საკითხი ბავშვების საკეთილდღეოდ წყდება. ბევრჯერ მიფიქრია, წარმოუდგენლადაც


ჯგუფი „ცეროდენა“

მომჩვენებია, როგორ შეიძლება პედაგოგს ყოველი აღსაზრდელის სუსტი და ძლიერი მხარეები გახსოვდეს, იცოდე, რა უყვარს, რა არ მოსწონს პატარას; ვის, როგორ უნდა მიუდგე, რომ ძალდაუტანებლად მიაღწიო მიზანს.

ზუსტად ვიცი! ეს ოთხი წელიწადი ჩემი ანასტასიას ცხოვრებაში დაუვიწყარი იქნება. ჩემთვის, მშობლისთვის კი – სიმშვიდის ოთხი წელიწადი.“

**ციცო ომანიძე**

სახელდობრ, ვინ არიან ასეთი მართლაც გულიდან ამოსული სამადლობლების ადრესატები?

ბაგა-ბაღი რთული ორგანიზმია. ამიტომ მისი ყოველი რგოლი, სეგმენტი ურთიერთშეთანხმებულად, გამართულად უნდა მუშაობდეს, რათა საბოლოო შედეგს – ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ყმაწვილების აღზრდას მიაღწიოს, ამიტომ ყოველ მუშაკს შეაქვს თავისი წვლილი ამ უდიდეს სახელმწიფო და ეროვნულ საქმეში. აღმზრდელებს: **თამილა ლომჯარიას, მაია მშვენიერაძეს, მაია გამეზარდაშვილს, ნონა ყიფშიძეს, ირმა სიორდიას, მაგული ტაბატაძეს, ნაირა ეჯიბაძეს, მარინე შანიძეს, თამარ ღაღანიძეს, იზა პავლიაშვილს, ლამარა ქუფარაშვილს, ბელა გალუსტოვას, ნონა ბეგოიძეს, ლიანა გურულიშვილს, ლია ბობოხიძეს, ირინა ჩიხლაძეს, მაკა წიქარიშვილს, აზა გაზდელიანს;** აღმზრდელის თანაშემწეებს: **შორენა ჩომახაშვილს, ნატალია საბაშვილს, ხათუნა მირიანაშვილს, თეა ყარყარაშვილს, მარინა თხელიძეს, ლალი მუმლაძეს, ნანა პატიაშვილს, მარინე არუთინოვას, ნინო ბუხნიკაშვილს, იზა ღურწკაიას, ლალი მაღლაფერიძეს, ნათია ნოზაძე-ბერიძეს, ნინო აფციაურს, მაია ვეშაპურს, ცისანა ხუტაშვილს, მალვინა სეფიაშვილს, შორენა მესხიშვილს, ქეთევან ბოგვერაძეს, ნინო გურჩიანს;** ფსიქოლოგ – **ლია ხიდეშელს;** ლოგოპედ **ეკა შიხიაშვილს**; სპეცპედაგოგებს – **ლია გარსევანიშვილსა** და **სოფიო სიყმაშვილს**; ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორს – **დოდო კვირაიას**; სამეურნეო ნაწილის კოორდინატორებს – **ეკატერინე ნოზაძესა** და **მაია ლაშხს**; საქმისმწარმოებლებს – **მანია კედელაშვილსა** და **ლალი მაღლაფერიძეს**; მზარეულს – **ლოლა გურგენიძეს**, მის დამხმარეებს: **მზევინარ მოისწრაფიშვილს, მადონა ჯღარკავას, ხათუნა დათაშვილს, ციცო რთველაძეს, ლიანა ქარქაშაძეს;** ტექნიკურ პერსონალს: **მზია ვარამაშვილს, ლია ჩიბურდანიძეს, დალი წითლაურს, მზია ხუროშვილს, ხათუნა უცუნაშვილს, გულთამზე შანიძეს, ქრისტინე მაჭარაშვილს, მაია სამხარაძეს, ვარდო იბრაგიმოვს, გულნარა ბერიას, ვაჟა ბასილაშვილს, მორის როსტიაშვილს, ელგუჯა ღონღაძეს.**


ჯგუფი „წითელქუდა“


ჯგუფი „ყოჩაღები“

უნარიანად, შემოქმედებითად, ინიციატივიანად და მიზანმიმართულად მუშაობენ კოლექტივთან დირექტორის მოადგილე **მაია ზედგენიძე** და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ნინო ხოსიტაშვილი.**

დირექციის თაოსნობით, პედაგოგთა მუშაობა ისე წარიმართება, რომ აღსაზრდელთა თვალებით შეხედონ სამყაროს, მათი აღქმის, შეგრძნებათა სამყარო გაითავისონ, ანუ „გაბავშვდნენ“ და ისე მონახონ პატარების სულისა და გულისკენ მიმავალი ბილიკები.

თუ წყაროს სათავე წმინდაა, წყალიც ანკარა მოედინება. 115-ე ბაგა-ბაღს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და ღვაწლმოსილი ბანოვანი, ქალბატონი **მერი ჭარელიშვილი** უდგას სათავეში.

მისი, მთელი კოლექტივის მუშაობის უცილობელ საწყაოდ მშობელთა ზემომოხმობილი და სხვა სამადლობლებიც იკმარებდა, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას.

ქალბატონი მერი ძირძველ ქართულ კუთხეში – მესხეთში, სახელდობრ, ასპინძაში დაიბადა. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა; 1975 წელს – ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. პარალელურად გაიარა ლათინური ენის შემსწავლელი კურსები. 1975-1978 წლებში თბილისის 73-ე ბაგა-ბაღის აღმზრდელია, შემდეგ – გამგე.

ჩავუკვირდეთ: მუშაობის სულ რაღაც სამი წლის თავზე **მერი ჭარელიშვილს** ბაგა-ბაღის გამგედ აწინაურებენ. იმ ხანად ასეთ თანამდებობებზე ჰაიჰარად არავის ნიშნავდნენ. რაოდენი პედაგოგიური ნიჭი, ალღო, პასუხისმგებლობა და შემართება უნდა ჰქონოდა ახალგაზრდა სპეციალისტს, რაოდენი სიყვარული ყმაწვილების მიმართ, რომ ასე სწრაფად ენდოთ მისთვის მთელი ბაგა-ბაღის ბედი?!

წლისთავზე – 1979 წელს 115-ე ბაგა-ბაღის (გამგე) დირექტორია.

ვაჟას სიტყვები გამახსენდა: **„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“** – 2007 წელს, პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს სამსახურიდან. ასე აისახება ხოლმე ქვეყნის ორომტრიალი ყოველი პატიოსანი მოქალაქის ცხოვრებაში. მუხთალიაო წუთისოფელი, ვვიშვიშებთ. მერედა, ვინ ამუხთლებს მას?


ჯგუფი „სხივები“

აღდგენილმა დირექტორმა მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა. ბაგა-ბაღის ინტერიერ-ექსტერიერი არ შეიხედებოდა, რაც ახლა ძნელი დასაჯერებელია. უშვებულებოდ მუშაობდა. შეკეთდა სან-ჰიგიენის ოთახები, მუსიკის, სპორტისა და ცეკვის დარბაზები; მთლიანად განახლდა კვების ბლოკი: ახალი ელექტროქურები, უჟანგავი თაროები, ხორცსაკეპი მანქანები, მაცივრები... სათქმელად ადვილია, გასაკეთებლად – ძნელი. სწორედ ასე იჩენს ხოლმე თავს პიროვნების ფაქტორი, მისი ინდივიდუალური უნარი და ღირსებები.

ხელმძღვანელობის მისეული სტილი: არა **„კაპიტნის ხიდურიდან“.** სწორი, კეთილგანწყობილი მიდგომა თითოეულ მუშაკთან. ინიციატივის წახალისება. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობა.

ქალბატონი მერი ძალზე ემადლიერება ბაგა-ბაღების სააგენტოს (ხელმძღვანელი – **კახაბერ გვანცელაძე**), ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტს. დირექტორის თქმით, ნებისმიერი პრობლემა ოპერატიულად და ხარისხიანად წყდება; ყოველი გონივრული აზრი, ინიციატივა ჰპოვებს გამოძახილს.

ბაგა-ბაღში 713 აღსაზრდელი ჰქავთ. სასკოლო მზაობის ხუთ ჯგუფში 200-მდე ბავშვია. მათ იციან ანბანი, ითვლიან, ცნობენ გეომეტრიულ ფიგურებს... ამას წინათ ბაბილინა იწვიეს. ზღაპრების ცოდნით გააოცეს ცეროდენებმა თვით ბაბილინა. აღსაზრდელები მრავალ კონკურსში, დათვალიერებაში მონაწილეობენ, საოცრად საინტერესო ღონისძიებებს მართავენ.

თითქოსდა, ბევრი დაიწერა, მაგრამ სათქმელი მეტი დარჩა. ყმაწვილების სწავლა-აღზრდა ხომ ამოუწურავი, უკიდეგანო, ძალზე სათუთი თემაა და აუცილებლად დასაფასებელია ყოველი ადამიანი, სახელდობრ, 115-ე ბაგა-ბაღის თითოეული მუშაკი, ვინც ესოდენი გულის სითბო, გამოცდილება და ცოდნა უძღვნა პატარებს, რისი უტყუარი დასტური მადლიერი, შვილებითურთ ამ ბაგა-ბაღზე შეყვარებული მშობლები არიან.

**კონსტანტინე გურგენიძე**


დედაშვილის შეხვედრა ჯგუფ „ყოჩაღებში“

P.S. გაერთიანებული საქართველოს შვიდი სადროშოდან მეწინავე მესხეთი იყო. მესხთა რაზმები აგემებდა პირველ დარტყმას მტერს. 115-ე ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივი, მესხეთელი ქალბატონის **მერი ჭარელიშვილი-დათიაშვილისას** ხელმძღვანელობით, აგემებს მომაკვდინებელ დარტყმებს შურს, ბოროტებას, ღვარძლიანობას, ორგულობას, რაც ამუხთლებს წუთისოფელს, სათოფეზე არ აკარებს ამ ქვენა გრძნობებს აღსაზრდელებს, სიყვარულითა და სიყვარულში, სულისა და გულის სისპეტაკით ზრდიან და ამ ურთულეს, უსათუთეს და უმნიშვნელოვანეს „ფრონტის ხაზზე“ მეწინავენი არიან.

დიახ, ეს შესაძლებელია – სკოლა რეპეტიტორების გარეშე

# „მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჭედის“

**ილია ჭავჭავაძის**, ილია მართლის ეს დეფინიცია ყველაზე მეტად განათლებას, კულტურას, მეცნიერებას ეხება, რამეთუ სწორედ ამ დარგებში ვლინდება



აღზრდის და შემეცნების პოტენციალი, როგორც საზოგადოების და ქვეყნის, აგრეთვე ცალკეული ინდივიდებისა. საუკუნეთა სიღრმეში იხვეწებოდა ტრადიციათა სინთეზი, სამყაროს აღქმის თვითმყოფადობა, რომელიც საოცრად გაბრწყინდა ქართული თეატრის, კინოს, ლიტერატურის, მხატვრობის, მათემატიკის, ფსიქოლოგიის ... უნიკალურ მიღწევებში მე - XX საუკუნეში. 1991 წლიდან მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პრობლემების ქარტეხილების ფონზე მოხდა საზოგადოების ზნეობრივი დაცემა, ფასეულობათა რკალის შეცვლა, მასკულტურის გაბატონება. 30 წელია ქვეყანა განიცდის პროფესიულ კოლაფსს. რის შედეგადაც ჩვენი განათლების სისტემა მეტად დაზარალდა. იცვლებოდნენ მინისტრები, მთავარობები, ჩინოვნიკები, სავალდებულო „ნოვაციები“ გააზრებული ეროვნული გეგმის უქონლობის პირობებში, პროფესიული დონე პედაგოგების და მოსწავლეებისა კატასტროფულად იწევდა ქვემოთ. ეს მთელი სიცხადით გამოვლინდა 2016 — 2017 წლების მონაცემებში, როცა ყოველმა მე - 4 მოსწავლემ საატესტატო გამოცდები ვერ ჩააბარა.

ერის სულიერმა მამამ, უწმინდესმა და უნეტარესმა კათალიკოს პატრიარქმა ილია II - მ ბრძანა მაშინ: ახალგაზრდობა არის ჩვენი სულიერების ბარომეტრი, საზოგადოების და ქვეყნის სულიერი ბარომეტრი ქარიშხლის ზღვარზე. მთავრობა და განათლების სამინისტროს ჩინოვნიკები ნაკლებად ინტერესდებოდნენ ჩვენი ახალგაზრდობის სულიერებით, ცოდნის დონით, მრწამსით, აგრესიულობის ზრდის მიზეზებით და ... პედაგოგებს კი ნაკლებად აინტერესებთ მოზარდების სურვულები, მოსწავლეებს სძულთ სკოლა და დასჯის რეპრესიული მანქანა: დირექცია - მანდატური - პედაგოგი, რომლებიც მხოლოდ მორჩვენებითი წესრიგის დამცველებად გვევლინებიან.

ჩვენი პატარა სასწავლებელი – ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი სულ სხვა საფუძვლებზე - სიყვარულზე, რწმენაზე, პროფესიონალიზმზე დაყრდნობით დაფუძნდა, რამეთუ ჩვენ დავაარსეთ სასწავლებელი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და პატრონაჟით, სწავლა - სწავლების არსის გათვალისწინებით, რომელიც თავისუფალი, ეროვნული კონ-



ცეფციების ჩამოყალიბების ჟამს მსოფლიო გამოცდილებასაც ითვალისწინებს.

ჩვენი მოსწავლეები სკოლის 20 წლიანი გამოცდილებისა და მაღალკვალიფიცირებული პედაგოგების ინტენსიური, ინოვაციური სწავლების საფუძველზე წარმატებით აბარებენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს.

გაძლიერებული, მოდულირებული სწვლების მეთოდით ეუფლებიან უცხო ენებს. XI- XII კლასის ლიცეანტებს საგნად აქვთ უნარჩვევების სრული კურსი და FCE (B2) ინგლისური ენის შემსწავლელი პროგრამა, რომელიც აგებულია კემბრიჯის საერთაშორისო სერთიფიკატის მოთხოვნების შესაბამისად, რომელსაც ასწავლის ლონდონის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დოქტორი **ლეილა ბერიშვილი**. სწორედ ამიტომ არ საჭიროებენ კერძო რეპეტიტორებს არცერთ საგანში.

ქართული ენის ღრმა შესწავლა ეყრდნობა ჩვენი კლასიკოსების დებულებებს: „ქართული ენა – საგრძნობელი გემოვნებისა, ძალა სიტყვიერებისა“ – სულხან-საბა ორბელიანი, „ერი – დედაა ენისა“ – ვაჟა, „ ენა – ისტორია ერისა“ – ილია, აყალიბებენ პატრიოტს და ზნეობრივ ადამიანს.

ჩვენი პედაგოგები: **თინათინ გავაშელი** – დოქტორი, **რიმა შიშინაშვილი** – დოქტორი, **ნინო მარკოზია** – დოქტორი დედაენის შესწავლას უკავშირებენ სხვა ენების თავისებურებს, შედარებით ლინგვისტიკას, სინერგეტიკას, სისტემურ მართვას შემეცნებით პროცესში. ამიტომ არის ჩვენს პროგრამებში განათლების სამინისტროს პროგრამებთან ერთად შეჯერებული ნოვაციებით უცხო ქვეყნების მიღწევების გამოყენებით. სკოლის დირექტორი ქალბატონი **რუსუდან ამირეჯიბი** თავად ლინგვისტია. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და კურირებს ქართულ და უცხო ენათა შესაწავლის პროცესს. სწავლა ჩვენს სკოლაში ეყრდნობა ემოციური ფონის შექმნას (გასვლები ლიტერატურულ მუზეუმებში, ძეგლებზე, „ღია გაკვეთილები, გალობის და ცეკვის, გამოფენების მოწყობით (ვარძია, სხვიტორი, შიომღვიმე, ჩარგალი, საგურამო, მუხრანი...) მუხრანი – ქართლის გული, დედამიწაზე ქეთევანის მშობ-



ლიური „მუხრანის ქვეყანა“, მუხრან-ბატონების, **ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის)** სამშობლო ჩვენი ყოველწლიური გასვლების ეპიცენტრია. მუხრანში ლიცენატები კითხულობენ თავისუფალ თემებს 26 სექტემბერს, დიდმოწამე ქეთევანის ხსენების დღეს, აწყობენ გამოფენებს, კონცერტებს. ასე ვუახლოვდებით წარსულს, ვჭვრეტთ მომავალს.

ლიცეანტების ნამუშევრები იბეჭდება ჩვენს ყოველწლიურ ალმანახში **„ლიცეუმის ყვავილში“**. XIX საუკუნეში ნიკოლოზ ბარათაშვილმა შექმნა **„გიმნაზიის ყვავილი“**, რომელშიც იხვეწებოდა დიდი პოეტის კალამი. ჩვენი ლიცეუმის შემოქმედნი აცნობენ ამხანაგებს, მკითხველს, მშობლებს საკუთარ ლექსებს, ესეებს, ნახატებს. მრავალი მათგანი იმარჯვებს რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა და კონკურსებში **(ს. ხიმშიაშვილი, ლ. შარიქაძე ...)**

ჩვენს სკოლა-ლიცეუმში გამორიცხულია აგრესიულობა, შური, სიძულვილი. მაღალი რანგის პედაგოგები **(ია ბაგრატიონი-მუხრანელი, გია ჩხიკვიშვილი, რიმა შიშინაშვილი, თინათინ გავაშელი, ვაჟა ბაკაშვილი, მაია მღებრიშვილი, ირინა ფირჩხიძე, ლეილა ბერიშვილი, ლიანა ლიპარტიანი, გიორგი კაკოჩაშვილი, ირმა სოხაძე, თამარ ოჩიაური, ნინო მარკოზია, ნინო სოხაძე, გვანცა ლაბაძე, ნანა ცინცაძე, მანანა შარაშენიძე...)** ლიცენატებში, მშობლებში ჰქმნიან ერთიან დასს, ჯადოსნურ ოქროს ჯაჭვს, რომელიც სიყვარულით და ურთიერთგაგებით არის შედუღებული. პედაგოგები საგნების არსის გაგებასთან ერთად კულტურის აღქმის პროცესს აძლიერებენ მოზარდებში. აზროვნების კულტურის, შემეცნებითი პროცესის აუცილებლობას ეროვნულ-ქრისტიანული მრწამსის, ისტორიის და კულტურის აღქმაში.

ამ ტენდენციებს აღრმავებენ ჩვენი სტუმრები: მეცნიერები, მწერლები, მსახიობები: **ლაშა თაბუკაშვილი, კახი კავსაძე, თინათინ მღვდლიაშვილი, მანანა გაბაშვილი** და სხვები.

ჩვენი სასწავლებლის დევიზია **„სკოლა რეპეტიტორების გარეშე!“** ამ დევიზის ამოქმედებამ, შერწყმამ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პრიორიტეტებისა მოგვცა კარგი შედეგი: ყველა ჩვენი კურსდამთავრებული წარჩინებით აბარებს საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს, ჩარიცხულია საქართველოს და უცხოურ უნივერსიტეტებში. ეს შედეგია პედაგოგების ღვაწლისა, მათი პროფესიული დონისა, ჩუმი ყოველდღიური მუშაობისა, როცა იკვრება მეგობრული დასი, სიყვარულით გაჯერებული. ხშირად აღინიშნება დაბადების დღეები, საზეიმო თარიღები, მიღწევები. მუდამ წინ ვიყურებით, მაღალ შედეგებზე ვართ ორიენტირებულნი.

უკვე დაიწყო 2018-2019 სასწავლო წლისათვის მზადება. პირველკლასელებისათვის გთავაზობთ ჩვენს სარეკლამო ბარათს. გელით მთელი გულით.

**ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთასკოლა-ლიცეუმი**

**მის: ჯანო ბაგრატიონის ქუჩა №6. ტელ: ქალაქის: 238 01 24; 238 46 72 მობ: 577 570 557**

სიყვარულით სავსე ცოდნის კერა

# სკოლა „ლამპარი“ – ჩირაღდანი განათლებისა



**თბილისის** მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა **„ლამპარი“** ოცი წლისაა და ქალბატონ **დარეჯან ქადაგიძის** ინიციატივით დაარსდა. წლების შემდეგ, სკოლამ ტერიტორია შეიცვალა, რამდენიმე დამფუძნებლი და კერძო სკოლა გაერთიანდა და ამჟამად, ჭყონდიდელის ქუჩაზე, საკმაოდ თვალშისაცემ, ლამაზ შენობაშია. დირექტორთა საბჭო – **დარეჯან ქადაგიძე, რუსუდან მდივანი, ლალი გარდაფხაძე, ნინო ქადაგიძე,** ასევე მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი მოაზროვნე, შემოქმედი, ინფორმირებული, კულტურული, თავისუფალი მოქალაქის ჩამოყალიბებაზე ზრუნავენ.

ფუნქციონირებს კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელმძღვანელი – **მანანა ჭელიძე;** ტექნიკური (მათემატიკა, ინფორმატიკა) – **გულიკო წყაროზია;** უცხო ენების (ინგლისური, რუსული) – **თათია მარტინენკო;** საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) – **ქეთი სარალიძე;** საზოგადოე-



ბრივი (გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო) – ინგა ბიძიშვილი; ესთეტიკის (მუსიკა, ხელოვნება, სპორტი) – **ნონა მეცხვარიშვილი;** შექმნილია – საოლიმპიადე კათედრა, სადაც მოსწავლეებს მთელი წლის განმავლობაში შეუძლიათ გაიღრმაონ ცოდნა. პროგრამული მასალის დაძლევაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს ეხმარებიან ჯგუფები.

**„ლამპარის“** მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხ-

გაგრძელება მე-6 გვ.

ლეილა ვადაჭკორია – ბავშვებს

ლიტერატურული გვერდი

# „ციდან ჩამოვკრეფ ვარსკვლავებს და დავურიგებ პატარებს“



**რედაქციაში** ხშრიად გვირეკავენ ბავშვები, მათი მშობლები: კიდევ დაგვიწეროსო **ლეილა დეიდამ** კარგი ლექსები.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გაზეთის 14 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული პოეტის ლექსები პატრებს ძალიან მოეწონათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი პოპულარული გახდა.

**ლეილა ვადაჭკორია** სავარდო და სამაისო ქუთაისიდანაა, იქაური პედინსტიტუტის აღზრდილი, ქიმია-ბიოლოგიის ჩინებული მასწავლებელი, მაგრამ პოეზიას პროფესიასთან ბევრი საერთო არა აქვს. პოეტის მთავარი პროფესია გახლავთ ნიჭი და მუზა.

**ლეილა ვადაჭკორია** შესანიშნავად იცნობს ბავშვის ხასიათს, ბუნებას, ამიტომ გამოდის მისი ლექსები პატარებისთვის მიმზიდველი, სადა, ადვილად აღსაქმელი.

პოეტი მეტად პოპულარული ჟურნალ **„ათინათისა“** და **„ანთოლოგიის“** სასურველი სტუმარი და ბარაქიანი ავტორია. ამ გამოცემებს ამდიდრებს საბავშვო ლექსების საუკეთესო ნიმუშებით.

ამჯერად კი პოეტი ჩვენი გაზეთის სტუმარია. ვნახოთ, რითი დაასაჩუქრა მან პატარები.

***

### ნასახლარი

**ხეები** წელში მოხრილან
გადაჭდობიან ერთმანეთს,
თავდახრილები, ბეჩავნი
ცის ლაჟვარდს ველარ ხედავენ.
კაცი შეჩერდა წამით და
ჭიშკარი გახსნა ჭრიალით,
საშველად უხმობს ხეები
ვაშლის, ატამის, ქლიავის...
გამოხშირა და მზის სხივი
კვლავ იწილადეს ტოტებმა,
ჯაგნარი კაფა დილამდე
და მიწაც მორჩა გოდებას.
იყო დრო – სიცოცხლე ჩქეფდა,
რად დაემსგავსა ნასახლარს,
მერცხალმა თვისი ბარტყები
ნეტავი, საით წაასხა.

### თოვლის ფაფახი

**ბარში** დათბა და მიწასაც
გულში ყინული გაულხვა,
მიხო ვაზს ესათუთება,
თედოს მინდორი დაუხნავს.
კატო ბაღჩაში ფუსფუსებს
ნიკო სახლს უცვლის სახურავს,
მაღალ მთებს ისევ ქათქათა
თოვლის ფაფახი ახურავს.

### სამოთხე

**ამ** მინდორზე ყაყაჩოთა
მთელი მოდგმა სახლობს,
ცოტა იქით ენძელების
მოჩანს სამოსახლო.
გზის გადაღმა ოქრო ღილებს
დაუქარგავთ კორდი,
სალოცავში მივდიოდი
სამოთხეში მოვხვდი.

### სინანული

**ნუ** აუმღვრევ წყალს ბოჩოლას
ნუ დაუნგრევ ჩიტებს ბუდეს,
დრო მოვა და შენს გულშიაც
სინანული დაიბუდებს.
ნუ დაამტვრევ ხეებს ტოტებს,
როს პატრონს არ დაიგულებ.
სიყვარული თუ დაკარგე,
ადვილად ვერ დაიბრუნებ.

### მერცხალი

მთელი ზაფხული ჩვენთან ხარ
მერე სხვა მხარეს იჩქარი,
მერცხალო კუდმაკრატელა
შენი სამშობლო გვითხარი.
მერცხალმა წყრომით შეხედა
რა საკითხავი ე სარის,
„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ,
ჩემი სამშობლოც ის არის“.
სუსტი ვარ, ყინვას ვერ ვუძლებ
მივფრინავ შორეთს იმიტომ,
რომ გაზაფხულზე ისევე
ჩემი სამშობლო ვიხილო.

***

უნდა იყოს კირით ხურო
მართლა ვამბობ, კი არ ვხუმრობ,
ააშენო, დაამშვენო და საბძელი
გადახურო.
შექმნა უნდა შენი რაზმი,
მათაც უნდა კითხო აზრი,
ზოგი კაშხალს ააგებს და
ზოგმაც ააშენოს სახლი.
ზოგმა მიწა სიყვარულით
უნდა ვთოხნოთ, უნდა ვბაროთ,
მოდი ვთქვათ და არ დავმალოთ
ეს ქვეყანა სამომავლოდ
თქვენ ხომ უნდა ჩაიბაროთ.

## სიყვარულით სავსე ცოდნის კერა

დასაწყისი მე-5 გვ.



ვადასხვა ღონისძიებასა თუ პროექტში. სულ რამდენიმე დღის წინ, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებმა – **ჯულიეტა ჩოკოლაშვილმა** და **ია ჯღარკავამ**, მე-2 და მე-3 კლასის მოსწავლეებთან ერთად **ნოდარ დუმბაძის** საკმაოდ შთამბეჭდავ საღამოზე **„დააბრუნეთ სიყვარული დედამიწაზე,“** მწერლის ქალიშვილს, **ქეთი დუმბაძეს** უმასპინძლეს.

ისტორიის პედაგოგმა **ანა ბიჩელაშვილმა** მე-6 კლასის მოსწავლეებთან ერთად პროექტის **„ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება“** ფარგლებში, 28-29 აპრილს განახორციელა 2 აქტივობა – ჩიქოვანის ქუჩის ტერიტორიაზე დაირგო კიპარისის ჯიშის 40 ნერგი. საბუდარის ტყის გზის მიმდებარედ დაასუფთავეს და გაწმინდეს ტყე მავნე ნარჩენებისგან. მომავალში პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება თემაზე **„გარემოს დაცვაზე ზრუნვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.“**

24 აპრილს მოეწყო მსვლელობა – **„არა ომს“.** ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ია ჯღარკავამ** და მე-9 კლასის მოსწავლეებმა – **თაკო ქადაგიძემ, საბა ოქროპირიძემ, თორნიკე იარაჯულმა, გიორგი ჩოჩელმა, ვალერი გოგაშვილმა, გიორგი ჟუნენკომ, ლიკა დადაჰავამ, გიორგი უგულავამ, სალომე სურამელმა** – აპოლიტიკური და მშვიდობიანი მინი აქცია-პროექტი **„ჩვენს სირიელ თანატოლებს ჩვენი თანადგომა სჭირდებათ!“**განახორციელეს.

სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები შეუერთდნენ პროექტს **„დარგე ხე, გაამწვანე გარემო,“** მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქალაქის გამწვანების პროექტში და სკოლის ეზოში დარგეს ყვავილები.

პედაგოგები ბევრს მუშაობენ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ინტეგრირებულ, სამოდელო, მაღალი დონის გაკვეთილებს ატარებენ მასწავლებლები: ქართული ენისა და ლიტერატურისა – **ჯული ჩოკოლაშვილი, თათია ბაღაშვილი, ეკატერინე ურიადმყოფელი, მაკა ტოკლიკიშვილი, ნინო ბარბაქაძე, მანანა ჭელიძე, მზია ბაყაშვილი, ეკა გაბელია;** მათემატიკისა – **ქეთევან ბერიძე, თინათინ კუპრეიშვილი, ციცინო ენუქიძე, გულნარა წყაროზია** (ისტ), **ლეილა ჭალელიშვილი, ვლადიმერ მანგოშვილი;** ინგლისური ენისა – **თათია მარტინენკო, ჟუჟო ბანეთიშვილი, ელზა თურმანიძე, თეა ყურაშვილი, ნატა წერეთელი**; რუსული ენისა – **ეკა ჭელიძე, ირმა მგელაძე, ლელა დოლიძე;** ბუნება – **ნანა თეთრუაშვილი;** ბიოლოგიისა – **ქეთევან სარალიძე** და **მარიკა ჩხეტიანი**; ისტორიისა – **თამუნა კილაძე, ანა ბიჩელაშვილი;** გეოგრაფიისა – **ინგა ბიძიშვილი**; ფიზიკისა – **ნინო გოგოხია, ნინო ტუხაშვილი;** ქიმიისა – **თეონა ჩიტაშვილი**; ხელოვნებისა – **ირინა შიუკაშვილი;** მუსიკისა – **ნონა მეცხვარიშვილი; მინდია ჩხიკვიშვილი** – ჭადრაკისა; **ამაზასკი მამიკონიანი** – სპორტის.

განსაკუთრებით საინტერესო და სახალისოა სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ცხოვრება: პატარები ბუნებისმეტყველების პედაგოგ **ნანა თეთრუაშვილთან** ერთად ფაუნალენდს ესტუმრნენ და კონტაქტური მუზეუმის საშუალებით ამა თუ იმ ცხოველთან, ფრინველთან თუ ქვეწარმავალთან ურთიერთობა შეძლეს. **ნანა თეთრუაშვილმა** ასევე ჩაატარა გაკვეთილი თემაზე **„საკვები პროდუქტები,“** რომლის მიზანი საკვები პროდუქტების ეტიკეტების რაობის და მისი დანიშნულების გაცნობა იყო; ბუნების მასწავლებელმა **ქეთევან სარალიძემ** კი მე-3 კლასში ჩაატარა გაკვეთილი თემაზე **„კვებითი რაციონი და პროდუქტის ვარგისიანობა“.** მიზანი — დაედგინათ კვების საკუთარი რაციონი, გაერჩიათ მცენარეული და



ცხოველური საკვები, გამოეყოთ პროდუქტები, რომელიც აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

სკოლაში ცოდნის მაღალ დონეზე მეტყველებს ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა და უმაღლეს სასწავლებლებში დაფინანსებით ჩარიცხულ მოსწავლეთა რიცხვი. მათემატიკის ოლიმპიადა **„ევერესტის“** ოქროს სიგელებით დაჯილდოვდნენ პედაგოგ **ქეთევან ბერიძის** მოსწავლეები: **გიორგი გვარიძიშვილი, ნიკოლოზ არჩემაშვილი, ლუკა ჭელიძე, თინათინ მთვარელიშვილი, გიორგი მოდებაძე, გეგა გაგიშვილი, ანასტასია ბენდიანიშვილი** და პედაგოგ **თინათინ კუპრეიშვილის** მოსწავლე **დემეტრე ქურდაძე.** წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა ოლიმპიადაში: **ილია არევაძე, ოთარ ფროდიაშვილი** და სხვები.

ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოსწავლეთა ცოდნის დონის დადგენისა და მონიტორინგის მიზნით, სკოლაში წელიწადში ორჯერ, სხვადასხვა საგანში ტარდება სადირექციო რეიტინგული წერები, **„კატის“** გამოცდის ტიპის ტესტირებები, ხდება სასწავლო პროცესის მუდმივი კონტროლი. სკოლაში დიდია მშობელთა ჩართულობა და ყველა ერთად ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კეთილმეგობრული გარემოს შექმნაზე. მთავარი ისაა, რომ აქ სწავლება ევროპული სტანდარტების დონეზე მიმდინარეობს.

ნათია გუგუნავა

170-ე ბაგა-ბაღი – 50

# საიუბილეო თარიღს ხელდამშვენებულნი შეხვდებიან

**თბილისის** 170-ე ბაგა-ბაღი ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა და არსებობის დიდი ისტორია აქვს. წლების



წინათ ვერაზე, აკაკი შანიძის ქუჩის 28 ნომერში ცხოვრობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი **ვასილ მჟავანაძე,** რომელსაც საკუთარი სურვილით ბავშვებისთვის საჩუქრად გადაუცია თავისი სახლი. მას შემდეგ ბაღი თანდათანობით გაფართოვდა და დამშვენდა, თუმცა, ადრინდელი იერსახე მაინც შენარჩუნებული აქვს. ეს არის ბაღი – მშვენიერი ხედებით, მარადმწვანე წიწვოვანი ხეებით, მრავალფეროვანი მცენარეებით და კოლორიტული შენობით. ბაგა-ბაღის ფოიეს და ოთახებს ამშვენებს ყვავილები, სათამაშოები, პლაკატები, ბავშვების და პედაგოგების შემოქმედება



— ნახატები, გამოძერწილი ზღაპრის გმირები და აპლიკაციები. ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. კეთილმოწყობილია სველი წერტილები, ოთახები და სამზარეულო, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებით და სახელმძღვანელოებით.

წლეულს, 170-ე ბაგა-ბაღს დაარსებიდან 50 წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, დირექტორი **ქეთევან დვალიშვილი** გრანდიოზულ ღონისძიებას გეგმავს, რომელიც ოქტომბერში გაიმართება.

**ქეთევან დვალიშვილი:** საიუბილეო თარიღისთვის საგანგებოდ ვემზადებით. მოვიწვევთ ბაღის ყველა კურსდამთავრებულს. ზოგიერთი მათგანი ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენელია. ჩვენთან მუშაობენ უფროსი ასაკის პედაგოგებიც და გვინდა, რომ კომუნიკაცია შედგეს ყოფილ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. ასევე, ვაპირებთ



**ვასილ მჟავანაძის** ქალიშვილის **ნინას** მოწვევასაც. უკვე თერთმეტი წელიწადია, ამ ისტორიულ ბაღს ვხელმძღვანელობ, შენობა ძველია, მაგრამ ძალიან ძვირფასია. ვცდილობთ ყველაფერს გავუფრთხილდეთ, შენობას პირვანდელი სახე შევუნარჩუნოთ და ამით პატივი მივაგოთ ისტორიულ პიროვნებას, ჩვენი ქვეყნის წარსულს. სამწუხაროდ, ბაღს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პედაგოგი **ნელი კეპულაძე**, რომელიც 52 წელიწადი დაუღალავად ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდას. ბაღისთვის მთავარი პრიორიტეტია: ჯანსაღი ატმოსფერო შევუქმნათ როგორც ბავშვებს, ასევე აღმზრდელებს, მშობლებს და ერთმანეთს. გვყავს გამოცდილი, მეგობრული კოლექტივი, რომელიც დაკომპლექტებულია როგორც ღვაწლმოსილი, ასევე ახალგაზრდა, პროფესიონალი კადრებით. ვცდილობ, თანამშრომლებსა და აღსაზრდელებს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შევუქმნა, რათა ბაღში მოსვლა უხაროდეთ. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის პროგრამა“,** რომელიც პატარებს ეხმარება მოსწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. ბაღი თანამშრომლობს სხვადასხვა ავტორებთან და მწერლებთან. მაგალითად, **მანანა ტონიამ** სოციალური პროგრამის მიხედვით, დაწერა ჩვენი აღსაზრდელებისთვის წიგნი, რომლისგანაც პატარები სწავლობენ მცენარეებთან და ბუნებასთან ურთიერთობას.

ბაგა-ბაღში სულ 375 აღსაზრდელია. ყველა ჯგუფს თავისი სახელწოდება აქვს, მაგალითად, **„პეპელა“, „მზე“, „გვირილა“, „ბაჭია“, „მერცხლები“, „წითელქუდა“** და ა.შ. ინკლუზიური პროგრამით სპეციალური პედაგოგი **მაია აფხაზიშვილი** და ლოგოპედი **ნატალია კალანდარია** შესანიშნავად მუშაობენ და კარგ შედეგებსაც აღწევენ. საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **თამარ ლომიძე** ახალი კადრია ბაღისთვის, მაგრამ შესანიშნავად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას, არის გამოცდილი ქცევითი თერაპევტი და ილიაუნის უნივერსიტეტის ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის თანამშრომელი.

აქ ხშირად ტარდება შემოქმედებითი ღონისძიებები, სეზონური ზეიმები და ღია გაკვეთილები. ახლახან, **„დედამიწის დღისადმი“** მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა და პატარებმა მონაწილეობა მიიღეს გამწვანების პროცესში, დარგეს ყვავილები. ბაღში, პედაგოგებისთვის იმართება სამეცნიერო კონფერენციები, სადაც თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ.



აღსაზრდელების კვებას დიდი ყურადღება ექცევა. ბაღი მარაგდება ჯანსაღი პროდუქტებით. ბავშვებს გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეული **ნატალია ბერუაშვილი** და მისი დამხმარეები: **ლამარა ქამუშაძე** და **ნანული ლომიძე.**

170-ე ბაგა-ბაღში მუდამ დისციპლინა, წესრიგი და სისუფთავეა. დირექტორს მხარში უდგანან: მოადგილე **მარიამ ჭიპაშვილი**, მნე **ლილი ძივძივაძე**, საქმისმწარმოებლები **ნანა მუსელიანი** და **ზურაბ გორდელაძე, ფსიქოლოგი ლია დვალიშვილი**, ჯანმრთელობის კოორდინატორი **ნელი რაზმაძე**.



ბაღის ზეიმების, მხატვრული ღონისძიებების მომზადებაში ჩართულები არიან მუსიკის პედაგოგები: **მარიამ გუგუშვილი** და **თამარ ნახუცრიშვილი,** ასევე, ცეკვის მასწავლებელი **მზია კანდელაკი.**

ბავშვებზე დედასავით ზრუნავენ მაღალკვალიფიციური აღმზრდელები: **მაყვალა შიოშვილი, ანტონინა თუმანიშვილი, მაყვალა შერაზადიშვილი, ეკატერინე ნანეიშვილი, მანანა გლოველი, დარიკო მოდებაძე, მედეა ბიბილეიშვილი, სოფიო თევზაძე, ეკატერინე აბურჯანია, თამარ ყიფშიძე, ნანა ბუკია, თეონა გაგოშვილი, თამარ ლაფერიშვილი, თამილა გოჩიტაშვილი, სოფიო მარკოზია, ნანული აბრამიშვილი, ნათია მელიქიშვილი** და **დარეჯან ბერიძე**. აღმზრდელებს მხარში უდგანან თანაშემწეები: **ნონა ლიპარიშვილი, ვერა აბრამიძე, ლალი ბუხრაშვილი, ნინო აბრამიშვილი, იამზე წულაია, ნონა გოგოლაძე, ლეილა გოცირიძე, ეთერ კურტანიძე, ლალი გეგეშიძე, ციალა** და **თამარ ფალავანდიშვილები,**



**ფატი მოდებაძე, ლიანა ლაფერიშვილი, ციცინო წიკლაური** და **მაყვალა ირემაძე.**

ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკურ პერსონალს: **გია კასაბური, ხათუნა ჯოხაძე, იამზე კაპანაძე, მარინა მითაგვარია, მაია ლომსაძე, თენგიზ ჯახველაძე** და **ჯონი გეფერიძე**.

170-ე ბაგა-ბაღის მესვეურებს ვულოცავთ 50 წლის იუბილეს და ვუსურვებთ წარმატებებს, მუდამ ეამაყოთ თავიანთი აღზრდილებით!

P.S. რედაქტორის მინაწერი: გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია პატივს მიაგებს ამაგდარი, დამსახურებული პედაგოგის **ნელი კეპულაძის** ნათელ ხსოვნას.

**მზია გოგოძე**

პატარებს დაუვიწყარი ზეიმი ელით

# ბევრჯერ ვყოფილვართ ამ ბაღში – დღითიდღე უკეთესია



**ყველა** მშობლის სურვილია შვილი 202 ბაგა-ბაღის ლამაზ, მყუდრო და საიმედო გარემოში გაიზარდოს, სადაც დაცულად იგრძნობს თავს და დედობრივი მზრუნველობა არ მოაკლდება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება ბავშვთა განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია, რისთვისაც უმთავრესია შესაბამისი გარემოს შექმნა. ამ მხრივ იდეალური პირობებია 202-ე ბაგა-ბაღში. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა აქ, დამეთანხმება, რომ შესანიშნავი გარემოა შექმნილი პატარების სრულფასოვანი აღზრდა-განვითარებისათვის. ბაღის მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული, მათ ურთიერთპატივისცემა აკავშირებთ, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებენ და უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს. აღმზრდელები გამოირჩევიან პატარებთან ინდივიდუალური მიდგომით და გულისხმიერებით. ამიტომაც



არის, რომ ბაღის ადმინისტრაცია სკოლებიდან მადლობის ბარათებს იღებს.

202-ე ბაღი მეტრომშენის დასახლებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეზო შემოღობილი და გამწვანებულია, რომელსაც ამშვენებს ყვავილები და წიწვოვანი, მარადმწვანე მცენარეები. პატარებისთვის დამონტაჟებულია კოხტა სათამაშოები „აიწონა-დაიწონა“, საქანელები და სხვა... ბაღის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია.საბავშვო ოთახები და დერეფნები მორთულია თვალწარმტაცი თვალსაჩინოებებით, კედლებს ამშვენებს პატარების და აღმზრდელების ნამუშევრები, ნახატები, აპლიკაციები და გამოძერწილი ზღაპრის გმირები. ბაგა-ბაღების სააგენტოს გვერდში დგომით, შენობა გარემონტდა და აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებით და ლიტერატურით. ერთი სიტყვით, აქ სითბოსა და სიყვარულის სურნელი ტრიალებს.

202-ე ბაგა-ბაღს, 30 წელიწადია დიდი წარმატებით ხელმძღვანელობს, გამოცდილი მენეჯერი და კეთილშობილი პიროვნება **ლალი ოთარაშვილი.** იგი სრულიად ახალგაზრდა, 24 წლის იყო, როცა



დირექტორად აირჩიეს, ამ ხნის მანძილზე, ვინ მოთვლის რამდენი თაობა აღზარდა და რამდენი კარგი საქმე გააკეთა. ქალბატონი ლალი ცნობილია თავისი ქველმოქმედებით, დედასავით ზრუნავს თითოეულ პატარაზე და ყველა თანამშრომელზე. საკუთარი ოჯახივით უყვარს ბაღი და ცდილობს ყველას გაუნაწილოს სითბო, არცერთი თანამშრომელი და ბავშვი არ დატოვოს ყურადღების გარეშე. უხარია დიდსა თუ პატარას ბაღში მისვლა, რადგან ამ **„სიყვარულის სავანეში“** თავს ბედნიერად გრძნობენ. ენერგიულმა დირექტორმა, თანამშრომლებიც საგულდაგულოდ შეარჩია, რადგან თვლის, რომ აღმზრდელი მოწოდებით პედაგოგი უნდა იყოს, კარგად ფლობდეს ბავშვის ფსიქოლოგიას. აღსაზრდელებთან სათუთი მოპყრობაა საჭირო.

– ყველაფერი გულით ვაკეთოთ, გულის ხმას მოვუსმინოთ და სიკეთე ვთესოთ! – ეს გახლავთ ქალბატონი ლალის ცხოვრების დევიზი, რომელსაც არასოდეს ღალატობს.

**ლალი ოთარაშვილი:** კარგი კოლექტივი მყავს, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ყველანი ერთად მომავალ თაობას ვზრდით. მიყვარს ბავშვები და მთელი ცხოვრება ამ საქმეს ვემსახურებით. წლეულს, სიახლე ის არის, რომ შეიცვალა დაფინანსების ფორმა სხვადასხვა საკითხებში (შეიძლება ითქვას, უფრო დაკონკრეტდა) მაგალითად, ბავშვთა სათამაშოების, ლიტერატურის და ა.შ. ბაგა-ბაღების სააგენტოს ახალი გადაწყვეტილებით, ყველა ბაღს ზუსტად გაწერილი ბიუჯეტი აქვს, რაც გამჭვირვალეს ხდის საფინანსო ხარჯებს. სკოლამდელი აღზრდის კანონის ცვლილებასთან დაკავშირებით, მზრუნველთა საბჭო საკონსულტაციოთი შეიცვალა, რომელიც






სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს განიხილავს. სასწავლო პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, ტარდება სეზონური ზეიმები და სხვადასხვა აქტივობები. მაგალითად, ახლახან ჩატარდა „დედამიწის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება, სადაც პატარებმა უფროსებთან ერთად გამწვანების პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ასევე, გაიმართა „დედაენის დღის“ და ყვავილების დღესასწაული. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ აღმზრდელობითი პროცესი სათანადოდ წარიმართოს. **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა წარმატებით ხორციელდება. მიხარია, რომ ჩვენი 104 აღსაზრდელი კარგად მომზადებულები წავა სკოლაში. და სერთიფიცირებული პედაგოგები გახდნენ. ჩვენთან ახალი კადრი მოვიდა – სპეციალური პედაგოგი **მაკა ლევიძე,** რომელიც აქტიურად ჩაება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარების ჯგუფში ინტეგრირების პროცესში და კარგ შედეგებსაც მიაღწია.

დიდი ყურადღება ექცევა საალმზრდელო პროცესში მშობელთა ჩართულობას და ღონისძიებებში მონაწილეობას, განსაკუთრებით, საგაზაფხულო საქმიანობაში, ყვავილებით და სხვადასხვა მცენარეებით გალამაზებაში. ასევე, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ აღსაზრდელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას, სისტე-



თითოეულ ჯგუფში ჩატარდა ბავშვთა ინდივიდუალური შეფასების ორი ეტაპი. მთელი კოლექტივი შეთანხმებულად მუშაობს, რათა მაღალ დონეზე წარიმართოს აღმზრდელობითი პროცესი. გვყავს მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი (მეთოდისტი) **ქეთევან ფერაძე,** რომელიც მრავალი წელია ჩვენთან მუშაობს და ვინ მოთვლის რამდენი თაობის აღმზრდელია. მის რეკომენდაციებს საგულდაგულოდ ასრულებენ ლოგოპედი **ნინო ჩიჩუა** და ფსიქოლოგი **მაკა ბაქრაძე,** რომლებიც დიდი პროფესიონალები არიან. ფსიქოლოგმაც და ლოგოპედმაც შესაბამისი ტრენინგები გაიარეს მატურად ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები და სეზონური ზეიმები. ამჟამად, ბაღი ემზადება დამამთავრებელი ჯგუფის საზეიმო საღამოსთვის და ასევე, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებისთვის.

ბაღში რომ ყველაფერი წესრიგშია კარგი მენეჯერის და ხელმძღვანელის დამსახურებაა.

დირექტორი კმაყოფილია ბაგა-ბაღების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მხარში დგომით. ასევე, მადლიერია ბაღის კოლექტივის თავდადებული შრომით და მათი ერთსულოვნებით.

ალსანიშნავია, დირექტორის

გაგრძელება მე-9 გვ.

პედაგოგის პოეტური პალიტრა

# ამ ლექსებით მოსწავლეებს როცა ზრდი



**თბილისის** 140-ე საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ მასწავლებელს **ცია ბოცვაძეს** თავისი აღსაზრდელები არა მარტო ბრწყინვალე გაკვეთილებით იცნობენ, არამედ ნატიფი, გულის სიმების შემრხევი ლექსებითაც. ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ პოეტი თავის შემოქმედებას ქმედითად იყენებს მოზარდთა სულის საწვრთნელად, მათში მამულისა და შოთას ენის სიყვარულის აღსაზრდელად. ეს ცალკე მსჯელობის თემაა.

ჩვენ ამჯერად მკითხველს შევთავაზებთ ქალბატონი ციას შთაგონებით შექმნილ, გულის ფესვიდან ამოსულ ლექსებს.

***

### ლტოლვილთა გადაძახილი

### სამაჩაბლოელ ოსებს

*(არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას)*

**ეს** რა გავიგე, თურმე
გიწამებიათ გმირი,
დაგინგრევიათ სახლი,
აგიჩეხიათ ხილი.

სადაც სახლობდნენ უწინ
ოს-ქართველები ძმურდ,
რად აადინე ბური,
ძმაო და სიძევ მურად!

ქართველთ დარგული ვაზი
ასე რად უნდა კაფო,
მანდ დაიზარდნენ, ჩვენში,
ფატიმა,სოსლან,ჯაყო.

სასაფლაოზე წვანან
მშობლები,დები,ძმები,
არ შეგვიბილწო,ბიჭო,
მამ-პაპათა ძვლები!

არ მოსცილდება მამულს
დევნილ ქართველთა მზერა,
როგორც ლიახვი მთიდან
არ შეაჩერებს დენას.

ვიდრე ქალების ხიბლი
ემახსოვრება თვალს,
სანამ წინაპართ ლოცვა
ზეციდან მოაქვს ქარს.

აიკვირტება ძმობა,
აიქოჩრება ყანა,
დაიკვალება გზები,
იჟღერებს" იავნანა".

და ავაშებეთ კვლავაც
ერედვში კოხტა სახლს,
შენ კი რუსული ჩექმით
ვერ მოიცილებ ლაფს.

აღმართს დაღმართი მოსდევს,
მზაკვრობას გზა არ უჩანს,
კისრად ნუ იდებ ცოდვას,
ნუ აწყენინებ უფალს!

მახვილს ნუ ჩაგვცემ გულში,
მომავალს ნუ სპობ მზიანს,
თორემ კბენანი თითზე
მერე ...იქნება გვიან!..

### გამარჯობა, ვარდობისთვევ!

**მე** მოლოდინი იმედით მავსებს,
ცისფერ ოცნებას მივყავარ ზღვისკენ,
ჭრელ-ჭრულა კაბას მოაშრიალებს
ეს გაზაფხული, გუმანით ვიგრძენ.

ჩამოანათებს სხივთა ჩანჩქერი,
გადეფინება მოქარგულ მთა-ველს,
მიწის ოხშივარს აზიდავს ცაში,
ფეხქვეშ გაუფენს ფეშქაშად მთვარეს.

ცა შემოიხევს მოქუფრულ სამოსს,
მბრწყინავ ცვარ-ნამით მორწყავს ყვავილნარს
და სამკაულად გადეფინება
ბუჩქის ჩეროში გაშლილ ია-ვარდს.

კვლავ დაივანებს სულში მაისი,
ცისფერ ოცნებას მივყავარ ზღვისკენ,
ვარდისფერ რიდეს მოაშრიალებს,
მოდის! მე მისი სურნელი ვიგრძენ!

### მეგობარს

*(ვუძღვნი ზეინაბ ჭიჭიკოშვილს)*

**ჩემო** წარსულო, ჩემო აწმყოვ, ჩემო მყოფადო,
შენკენ მოფრინავს წრფელი აზრი და გულის ღელვა,
ნამყოს მშვენებავ, აწმყოს ხატო, მომავლის დარდო,
დღეს შენ გეკუთვნის ჩემი განცდა და აღმაფრენა.

ნეტავ, შეგვეძლოს განცდილ გრძნობის თავიდან პოვნა,
აწმყო ცხოვრების დაურვება და შეჩერება,
ნეტავ, შეგვეძლოს წარსულისთვის მომავლის თხოვნა,
გაფრენილ წელთა დაბრუნება და მოფერება.

რათა არ გაქრეს მოგონება გარდასულ დღეთა,
ავაგიზგიზოთ მეგობრობის კოცონი ისევ
და შევეგებოთ სიჭარმაგეს ორივე ერთად,
მე ამ შეჯიბრში, მეგობარო, გიხმობ და გიწვევ!

ვერვინ გვიხილოს დაზაფრული მომავლის სუსხით,
ავაჩირაღდნოთ სიყვარული ურყევი, მტკიცე,
მოკლე გზა დაგვრჩა გასავლელი, ორივემ ვიცით,
„სიბერეს ომი!" მეგობარო, კონკურსში გიწვევ!

---

დასაწყისი მე-8 გვ.

პატარებს დაუვიწყარი ზეიმი ელით



მოადგილის **ნინო ბერიძის** ღვაწლი, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალია და კარგად იცნობს ბაღის ცხოვრებას. ასევე, ხაზგასასმელია საქმისმწარმოებლის **ქეთევან გონგაძის,** ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორის **თამარ დალაქიშვილის** და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **მაკა სანაიას** შრომაც. ბაღი აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტებით. აღსაზრდელებს კი, მუსიკალურ ხელოვნებას აზიარებენ მუსიკის პედაგოგები: **ნატო შულაია** და **ეკატერინე ერქომაიშვილი**. ბავშვებს გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეული **ჯულიეტა მამალაძე,** მისი დამხმარეები **ნათია ოთარაშვილი** და **მზევინარ გვილია.**

საბავშვო ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ აღმზრდელებს, რომლებიც პატარებს დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ ესენია: **მარინე ორველაშვილი, მანანა ლებანიძე, ნინო ფარტენაძე, მადლენა ბოგვერაძე, ნინო ნავროზაშვილი, ნანა რიჟამაძე, მარიამ თავდიდიშვილი, რეგინა კაზაროვა, ნინო გელდიაშვილი, სვეტლანა არუთინიანი, ნანა გელენიძე, თამარ ნათობიძე, ნანი შალვაშვილი და ცისანა დაუთაშვილი.** მათ გვერდში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **ჟუჟუნა ვარდოსანიძე, ანაიდა ბალოიანც, შუქია არღვლიანი, თამარ ლომიძე, მაია ნასყიდაშვილი, რუსუდან გრძელიძე, ლეილა სიხუაშვილი, ქეთევან ჩინჩალაძე, ლილი გრძელიძე, თინა გიორგაშვილი** და **ნანა კოშაძე.**



ბაგა-ბაღში მთავარია სისუფთავე და სანიტარული ნორმების დაცვა, ამ მხრივ შესანიშნავად მუშაობენ ტექნიკური პერსონალის თანამშრომლები: **რუსუდან ჯიმშელაძე, ლეილა ამიროვა, შორენა მემარნიშვილი, ცისანა კობეშავიძე, ლამარა მოსიძე, ლამარა დათუნაშვილი, ეთერ დვალიშვილი, ნათია გელაშვილი, ეკატერინე გოგინაშვილი, ლაშა ჯანიკაშვილი, ხათუნა სამადაშვილი, მურთაზ მამალაძე** და **ნელი ლიპრტელიანი.**





202-ე ბაღის წარმატების საიდუმლო კარგი ხელმძღვანელის შემოქმედებითი მოღვაწეობისა და სწორი მენეჯმენტის შედეგია. ვფიქრობ, იშვიათია ასეთი ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი, სადაც უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს, მხარში უდგანან, კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ, მომავალი თაობის აღზრდას გულითადად ემსახურებიან. დიდი მადლობა თქვენ ყოველივე ამისათვის.

მზია გოგოძე

90-ე ბაგა-ბაღში ეზოს რეკონსტრუქცია იგეგმება

# ცეროდენებს ლამაზი დიზაინით გაახარებენ



**ბევრმა** არ იცის, რომ **თბილისის 90-ე ბაგა-ბაღი** არ არის სტანდარტული საბავშვო დაწესებულება. იგი განსაკუთრებით გამოირჩევა ლამაზის დიზაინით, მხატვრული აპლიკაციებით, მინიატურებით, შესანიშნავად მოხატული კედლებით, მრავალფეროვანი ყვავილებით და თვალსაჩინოებებით. მეტად გასახარია, რომ ბაღის დიზაინის იდეა ეკუთვნით დირექტორს **ლია მიდელაშვილს** და მეთოდისტს **ეკატერინე შოვნაძეს**. სწორედ, ამ უკანასკნელის ხელით შექმნილია ის საოცარი სილამაზე, რომელიც მხატვრული ნამუშევრების საგამოფენო სივრცეს მოგაგონებთ და ზღაპრულ სამყაროში გამოგზაურებთ.

ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, იგი ისედაც მოწესრიგებულია და ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ყველა საჭირო ინვენტარით. აქ მეგობრული, მშვიდი გარემოა და აფასებენ ერთმანეთის აზრს. დირექტორის ძალისხმევით, ბაღში ბევრი რამ გაკეთდა და სამუშაო პირობებიც გაუმჯობესდა. პროფესიონალთა გუნდი, პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე თავდაუზოგავად იღწვის და ამიტომაც მშობლებიც კმაყოფილები არიან. აქ დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობას. ბაღში სპეციალური კუთხეა მოწყობილი წარწერით: **„თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია“.** მშობლებს შეუძლიათ თავიანთი წინადადებები თუ შენიშვნები წერილობით წარმოადგინონ. პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით ტარდება სეზონური ზეიმები, ღია გაკვეთილები.



ქალბატონი ლია აქ ახალი დირექტორია, თუმცა ბაღში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. დედაუნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პაწიებთან მუშაობას გატაცებით შეუდგა.

**ლია მიდელაშვილი**: ჩემი დირექტორობის პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა და გარემონტდა, მოწესრიგდა სველი წერტილები, ოთახები, დარბაზი, სამზარეულო, საწყობი, ნაწილობრივ შეკეთდა ეზოს გალავანი. პირადი ინიციატივით, გაიხსნა ბაგა მცირეწლოვანთათვის. შევიძინეთ ყველა საჭირო ინვენტარი. შენობის კედლები მოიხატა თვალწარმტაცი დიზაინით, რაც ჩვენი მეთოდისტის **ეკატერინე შოვნაძის** დამსახურებაა.



ბაღში მოიმატა ბავშვთა რაოდენობამ. **„სასკოლო მზაობის პროგრამა“** წარმატებით ხორციელდება. ძალიან კარგი კოლექტივი მყავს, პატივს ვცემთ ერთმანეთის აზრს და ყველა ერთად ვზრუნავთ იმისთვის, რომ ცუგრუმელებმა თავი ბედნიერად იგრძნონ. ზაფხულისთვის, დიდი სარემონტო სამუშაოები გვაქვს დაგეგმილი. დიდი მადლიერება და კმაყოფილება მინდა გამოვხატო ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მისამართით, რადგან გვერდში გვიდგას და გვეხმარება. ასევე, მადლობელი ვარ თანამშრომლებისაც, განსაკუთრებით, დირექტორის მოადგილე **მარეხ შინჯიკაშვილის**. კმაყოფილი ვარ ლოგოპედების **დალი** და **ნინო ფუტკარაძეების** საქმიანობით, უნდა შევაქო ფსიქოლოგი **ხათუნა ბერიაშვილი**, საქმისმწარმოებელი **ქეთო კორტავა,** მნე **მარგო ნადირაძე** და ექთანი **ფირუზი მინდაძე**. ტკბილად მიირთმევენ პატარები მზარეულ **ვიოლა დოჭვირის** დამხმარე **მადლენა ჯენდემიანის, ნონა ჩოხელის** დამზადებულ კერძებს.

ბაღში დიდი ყურადღება ექცევა შემოქმედებით პროცესს. ზეიმებში და სადღესასწაულო ღონისძიებებში აქტიურად ჩართული არიან მუსიკის პედაგოგი **თამარ ურუშაძე** და ცეკვის მასწავლებელი **მარიკა ბიჭიკაშვილი**. ბავშვებს მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები: **ნინო ინაური, ეკატერინე ზაქარაშვილი, გიული მიქაძე, ნათია ნუგზარიშვილი, მაია მუშკუდიანი, ასმათ ასანიძე, მეგი ოჩხიკიძე, ეკატერინე ლომოური და თამარ ხარატიშვილი.** ასევე, თანაშემწეები: **თინათინ კალანდარიშვილი, თეონა ნუგზარიშვილი, თამარ ანთიძე, თეონა სიჭინავა, ნინო ლობჟანიძე, რუსუდან ნუგზარიშვილი, ნანა კალანდია, ციალა ხარხელაური, მანანა ასიტაშვილი, თამარ ლომიძე** და **ჟორჟეტა მიქელაძე**. დაგელოცოთ მარჯვენა, აღმზრდელებო!



დირექცია განსაკუთრებულ მადლობას უცხადებს ბაღის ტექნიკურ პერსონალს, რომელთა თავდაუზოგავი შრომით აქ მუდამ სისუფთავე და წესრიგია. სწორედ, ერთობლივი და გუნდური მუშაობის წყალობით ბაღი სულ უფრო მშვენდება და წარმატებებს აღწევს.

**მზია გოგოძე**

ხალხში ყურმოკრული

## *მედასავლეთე ქართველთა აფორიზმები*

**რუსთაველის ხმაზე:** სჯობს დოლარისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.

**ბარათაშვილის ხმაზე:** რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას გვავნებს ინგლისელობა?

**ერისთავის ხმაზე:** ადვილად გავცვლი სამშობლოს ინგლისურ სტერლინგებზედა.

**ხალხური ანდაზის ხმაზე:** განა კაცი ეჩო არის, დოლარს თვისკენ მიითლიდეს?

**ილია:** მას დედის ძუძუ ტკბილი არაფრად შერგებია, პედაგოგის დახმარება ვისაც დაზარებია.

**ვაჟა:** სადაც არ გიხნავს, ძმობილო, იქ მკა ეგ სადაურია?

## *სხვა წვრილმანი*

**ყოველ** ადამიანს აქვს ეროვნული სიამაყის გრძნობა. სიამაყე შოვინიზმს არ ნიშნავს.

აი, რას წერდა ლომონოსოვი თავის „ოდაში“ რუსულ თავმოყვარეობა-ღირსებაზე: „რუსეთის მიწასაც შეუძლია შვას საკუთარი ბრძენი პლატონები და სწრაფი ნიუტონებიო“. შენ სად დაკარგე, ქართველო, ეს თვისება, სულ უცხოელს რომ შესციცინებ თვალებში?

***

**ერთ** ტელეგადაცემაში რესპოდენტმა წამყვანს უსაყვედურა: შენც გაგრიგოლიავდიო? მართალი იყო, ინგასავით მას ყველა დაწყებულ წინადადებას აწყვეტინებდა, პირში ეჩრებოდა, სულ თავად ლაპარაკობდა. რესპოდენტი თხოვდა, წინადადება დამასრულებინეო. სამწუხაროდ, გაგრიგოლიავებამ მასობრივი სახე მიიღო – მოწვეულ სტუმარს არ აცლიან მსჯელობას.

აქუბარდია ლევან ლორთქიფანიძეს ჩააცივდა, რატიშვილი კი – ლაზარე ზაქარიაძეს. შეგონება: ზედიზედ და ხშირად ინდაურის საცივიც კი მობეზრდება კაცს. როგორც იტყვიან, ყელში ამოუვა.

*ყურმოკრული ჩაიწერა*
**მოსე მწერალმა**

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N8 (4567)
9 მაისი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113